სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N211

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის თინათინ ზოიძის სახით და მეორე მხრივ, მ.მ. ირაკლი სირაბიძე (შემდგომში „შემსრულებელი“), („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 92300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებისათვის უზრუნველყოს ფოლკლორული ღონისძიების (ქართული ქალაქური სიმღერების ტრიო), (ქართული ხალხური სიმღერა 4 კაციანი ანსამბლით) ორგანიზება.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - **6000** ლარს.

2.2. ფოლკლორული ღონისძიების (ქართული ხალხური სიმღერა 4 კაციანი ჯგუფით) - ერთი მომსახურების ღირებულება შეადგენს **550** ლარს.

2.3. ფოლკლორული ღონისძიების (ქართული ქალაქური სიმღერების ტრიო) - ერთი მომსახურების ღირებულება შეადგენს **650** ლარს.

2.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.5. დამკვეთი არ არის ვალდებული შეიძინოს 2.2. და 2.3. პუნქტებში მითითებული მომსახურება სრული მოცულობით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1.მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**ირაკლი სირაბიძე**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი: *ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი კვაშტა*
	საიდენტიფიკაციო კოდი: *61008002145*
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	*ს.ს. „საქართველოს ბანკი“* *ბანკის კოდი – BAGAGE22* ანგარიში N GE68BG0000000161215235
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**მცირე მეწარმე**
თინათინ ზოიძე	ირაკლი სირაბიძე

Tinatin Zoidze 61009006289 Digitally signed by Tinatin Zoidze Date: 2022.07.27 16:36:16

Irakli Sirabidze 61008002145 Digitally signed by Irakli Sirabidze Date: 2022.07.27 16:46:55